THE COLLECTIVE MONOGRAPH "THE HISTORY OF THE CAUCASUS" IN TWO VOLUMES (Project leader Academician R. Metreveli. Tbilisi. 2023)

კოლექტიური მონოგრაფია „კავკასიის ისტორია" ორ ტომად (პროექტის ხელმძღვანელი აკადემიკოსი რ. მეტრეველი. თბილისი. 2023)

Abstract

The author of the review is M.A. Tekueva, PH.D. in History, The Head of the Department of Ethnology, the Dean of the History of Kabardo-Balkarian Peoples and Journalism at Kh.M. Berbukov State University. She discusses the importance of above mentioned two-volume book in the scientific study of current problems of Caucasialogy.

კავკასია ზღვებით შემოსაზღვრული უნიკალური ისტორიულ-კულტურული მხარეა. მისი ლანდშაფტი გადასერილია ევროპის უმაღლესი მთებით. მოსახლეობა უაღრესად მრავალფეროვანია ეთნიკური და კონფესიური თვალსაზრისით. ამასთან ერთად, აშკარაა კავკასიის ხალხების კულტურული ნათესაობა, მათი ცნობადობა გარეგნული იერით, ქცევის თავისებურებანი, თვითშეგნება და მსოფლმხედველობა. და, რაც მთავარია - საერთო ისტორიული წარსული.

კავკასიათმცოდნეობა კავკასიის კულტურისადმი მიძღვნილ რამდენიმე ფუნდამენტურ განმაზოგადებელ ნაშრომს იცნობს. ჩემის აზრით, მათ შორის საუკეთესოა „კავკასიის ხალხები". ამ გამოცემის პირველი ტომი ეძღვნება ჩრდილოეთ კავკასიის ეთნოგრაფიას (ტ. 1. მ.: სსრკ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1960); მეორე ტომი - სამხრეთ კავკასიას (ტ. 2. მ.: სსრკ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1962).

რეგიონის ისტორიისადმი მიძღვნილი განმაზოგადებელი ნაშრომი კი „ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების ისტორია" (ტ.1-2, მ.: „ნაუკა" 1988) მხოლოდ 25 წლის შემდეგ გამოიცა. როგორც სათაურიდან ჩანს, კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებზე მცხოვრები ხალხების ისტორია ამ გამოცემაში არ შევიდა.

ამიტომ ქართველი მეცნიერების ნაშრომი, რომელიც მთელი კავ-კასიის ისტორიას მოიცავს, განსაკუთრებით საინტერესოა კავკასიათ-მცოდნეებისთვის. მონოგრაფიის ავტორები არიან საქართველოს წამყვანი ისტორიკოსები მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის როინ ვიქტორის ძე მეტრეველის ხელმძღვანელობით.

ვიმედოვნებ, რომ კავკასიის ისტორიის განმაზოგადებელი ნაშრომის შექმნის მცდელობა საშუალებას მოგვცემს, ჯერ ერთი, ახლებურად გავიაზროთ და გავშალოთ ჩვენი ისტორიის და ისტორიოგრაფიის მთელი ავ-კარგი, მეორეც - ბიძგს მისცემს რეგიონის სხვადასხვა ნაწილის ორგანულად დაკავშირებული ისტორიის ფრაგმენტული განხილვის დაძლევას და მესამე - გაგვაცნობს კოლეგების მეთოდოლოგიურ მიდგომებს, კერძოდ, ფორმაციული და ცივილიზაციური სისტემურ-სინერგიული თეორიების

შეხამებას, რაც უფლებას აძლევს მათ თავისებურად შეხედონ კავკასიის ხალხების ისტორიას და კულტურას, მათ ურთიერთობებს.

მე საშუალება მომეცა გავცნობოდი მხოლოდ წიგნის ვრცელ რეზიუმეს ინგლისურ ენაზე და ამ ზედაპირული შთაბეჭდილებებიდან გამომდინარე, შემიძლია აღვნიშნო შემდეგი:

1. უდავოდ საინტერესოა მონოგრაფიის ავტორების მიერ დეკ-ლარირებული „ეთნოსოლიდარული“ მიდგომა ნაცვლად „ეთნოკონ-კურენტულისა“, რომელიც დამახასიათებელი იყო მრავალი ისტორიული გამოკვლევისთვის. ეს საშუალებას იძლევა ახლებურად დავინახოთ კავკასიის ხალხების ისტორიის მრავალი ასპექტი.

2. ნაშრომში სერიოზული ყურადღება ეთმობა ადიღეურ-ქართული კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ კავშირებს, რომლებიც განსაკუთრებით გააქტიურდა ახალ ეპოქაში.

3. ადიღეებისა და ქართველების კულტურულ-ცივილიზაციური სიახლოვე, მათი ელიტების სისხლით ნათესაური კავშირები საუკუნეების მანძილზე საშუალებას აძლევდა მათ გაეტარებინათ რუსეთთან დაახლოების კურსი, სამხედრო-პოლიტიკური კავშირები დაედოთ მასთან. ამგვარი დაახლოების ნათელი მაგალითი იყო ადიღეელი ჩერკასკებისა და ქართველი ბაგრატიონების საგვარეულოები, რომლებმაც მაღალი მდგომარეობა დაიკავეს რუსეთის სამეფო კარზე და მრავალი წლის განმავლობაში განსაზღვრავდნენ მის კავკასიურ პოლიტიკას.

4. აღნიშნული რეზიუმე საშუალებას იძლევა ეს ნაშრომი შევაფასოთ, როგორც სერიოზული და საფუძვლიანი გამოკვლევა, რომელიც დიდ ინტერესს გამოიწვევს ისტორიკოსებში და სხვადასხვა ქვეყნის მკვლევრებში. თუმცა, დასაშვებად მიმაჩნია, რომ ზოგიერთი ასპექტი, ფაქტოლოგიური დეტალები, დებულებები და ნააზრევი შეიძლება სადისკუსიო აღმოჩნდეს და მეცნიერული პოლემიკა გამოიწვიოს, რაცბუნებრივად მიმაჩნია თანამედროვე სამყაროს კოლიზიებისა და რეალიების პირობებში.

5. აუცილებლად მიმაჩნია წიგნის თარგმნა რუსულ ენაზე და შემდგომ მისი შინაარსის ფართოდ განხილვა ჩვენი ქვეყნის მკვლევარი-კავკასიოლოგების მიერ.

მ. ა. ტეკუევა,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
ყაბარდო-ბალყარეთის ხ. მ. ბერბეკოვის სახ.
სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოლოგიის,
ყაბარდო-ბალყარეთის ხალხების ისტორიისა და ჟურნალისტიკის
კათედრის გამგე

THE COLLECTIVE MONOGRAPH "THE HISTORY OF THE CAUCASUS" IN TWO VOLUMES (Project leader Academician R. Metreveli. Tbilisi. 2023)

Коллективная монография «История Кавказа» в 2-х томах (руковод. проекта академик Р. Метревели. Тбилиси, 2023)

Abstract

The author of the review is M.A. Tekueva, PH.D. in History, The Head of the Department of Ethnology, the Dean of the History of Kabardo-Balkarian Peoples and Journalism at Kh.M. Berbukov State University. She discusses the importance of above mentioned two-volume book in the scientific study of current problems of Caucasiology.

Кавказ - уникальная историко-культурная область, пределы которой ограничены морями, ландшафт пересечен грядой высочайших гор в Европе, население - бесконечно многообразно в этническом и конфессиональном отношении. При этом очевидно культурное родство народов Кавказа, их узнаваемый физический облик, манера поведения, самосознание и мировоззрение. А главное — общее историческое прошлое.

Кавказоведческая литература знает несколько фундаментальных сводных трудов по культуре Кавказа. Лучший из них, на мой взгляд, - «Народы Кавказа». Первый том этого издания посвящен этнографии Северного Кавказа (Т.1. М.: Изд-во Академии наук СССР, 1960); том второй - Закавказью (Т. 2. М.: Изд-во Академии наук СССР, 1962).

А сводный труд по истории региона появляется только через 25 лет после этого- «История народов Северного Кавказа» (Т. 1 -2.М.: Наука, 1988). Однако как видно из названия, история народов по южные склоны Кавказского хребта не вошла в это издание.

Поэтому работа грузинских ученых над масштабным проектом по истории всего Кавказа представляет особый интерес для всех кавказоведов. Авторами монографии стали крупные историки Грузии под руководством президента Национальной Академии наук Роина Викторовича Метревели.

Надеюсь, что эта попытка создания обобщающего труда по истории Кавказа даст возможность, во-первых, по-новому осмыслить и раскрыть целый пласт нашей истории и историографии, во-вторых, она должна дать толчок в преодолению фрагментарного рассмотрения органически взаимосвязанных историй различных областей региона, в-третьих, ознакомиться с методологическими подходами коллег, в частности с сочетанием формационной и цивилизационной системно-синергетической теорий, что позволяет им по-своему взглянуть на историю и культуру народов Кавказа, их взаимоотношения.

Мне была предоставлена возможность ознакомиться лишь с пространным резюме книги на английском языке, и, исходя из пока поверхностных

впечатлений, могу отметить следующее:

1. Несомненный интерес представляет декларируемый авторами монографии «этносолидарный» подход вместо «этноконкурентного», свойственного большинству подобных исследований многих исторических работ. Это дает возможность по-новому взглянуть на многие аспекты истории народов Кавказа.

2. В труде серьезное внимание уделяется теме адыго-грузинских культурных, экономических и социально-политических связей, которые особенно расцвели в эпоху нового времени.

3. Культурно-цивилизационная близость адыгов и грузин, кровнородственные связи их элит, позволяли им на протяжении веков прокладывать согласованный курс на сближение с Россией, заключать с ней военно-политические союзы. Ярким примером этого сближения были адыги Черкасские и грузины Багратиони, занявшие при русском дворе высокое положение и долгие ГОДЫ определявшие его кавказскую политику.

4. Представленное резюме позволяет оценить этот научный труд как серьезное и основательное исследование, которое вызовет большой интерес у историков и исследователей разных стран. Хотя допускаю, что некоторые аспекты, фактологические детали, положения и суждения могут оказаться дискуссионными и вызвать научную полемику, что считаю естественным в коллизиях и реалиях современного мира.

5. Считала бы необходимым осуществление перевода книги на русский язык с последующим широким обсуждением его содержания исследователями-кавказоведами нашей страны.

М.А. Текуева

доктор исторических наук, заведующая кафедрой этнологии, истории народов КБР и журналистики Кабардино-Балкарского государственного университета им. Х.М. Бербекова